SOCIÉTÉ FRANÇAISE DE PHARMACIE ONCOLOGIQUE ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

THALIDOMIDE - THALIDOMIDE®

რა არის THALIDOMIDE-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
თალიდომიდი	50 მგ კაფსულა: თეთრი

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის ..... მგ/დღეში, ანუ 50 მგ-იანი ..... კაფსულა, რომელიც უნდა მიიღოთ ყოველდღე.

გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, კაფსულების გაშლის, დაღეჭვის ან წყალში გახსნის გარეშე.

მიიღეთ მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეთ. ძილიანობის ეფექტების შესამცირებლად რეკომენდებულია მისი მიღება საღამოს, დაძინებამდე ერთი საათით ადრე.

მიღების გამოტოვების შემთხვევაში, მიღება შესაძლებელია 12 საათის განმავლობაში. სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში, არ მიიღოთ დამატებითი დოზა და დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, საღამოს, დაძინებამდე 1 საათით ადრე	
უწყვეტლივ	

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს მედიკამენტი ხელმისაწვდომია საავადმყოფოს აფთიაქებში. მედიკამენტების გაცემის აუცილებელი პირობაა პაციენტის წიგნაკი და ხელმოწერილი მკურნალობის თანხმობა.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ორსულობის ტესტის გაკეთება ქალებისთვის).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (**პრეზერვატივი და სხვა მეთოდი**).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

THALIDOMIDE® -ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

მაგალითი: მოერიდეთ ალკოჰოლის მოხმარებას THALIDOMIDE®-სთან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	**ბიოლოგიური ანალიზის დარღვევები**: ნეიტროფილების პოლინუკლეარული უჯრედების (ნეიტროპენია), თრომბოციტების (თრომბოციტოპენია) და ჰემოგლობინის (ანემია) შემცირება **კანის დარღვევები**: გამონაყარი, წყლულები, ქავილი, სიმშრალე. **საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები**: კუჭის შეკრულობა, გულისრევა **გულ-სისხლძარღვთა დარღვევები**: ფლებიტი, ფილტვის ემბოლია, სუნთქვის უკმარისობა, ტკივილი გულმკერდის არეში, ბრადიკარდია **ნევროლოგიური დარღვევები**: მგრძნობელობის დარღვევები (დაბუჟება, ჩხვლეტის შეგრძნება, წიწკნა), წვის ან განმუხტვის შეგრძნება, ტკივილი სიცივის, სიცხის ან ტემპერატურის ცვლილებისგან, ძილიანობა, თავბრუსხვევა. **სხვა**: ინფექცია, დაღლილობა, უჩვეულო სისხლდენა, ფეხებისა და ხელების შებერილობა (შეშუპება)
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	**საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები** > მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დალევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა > კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა **კანის დარღვევები** > კანის მნიშვნელოვანი ბუშტუკების ან ძლიერი აქერცვლის გაჩენა **გულის ტოქსიკურობის მიმანიშნებელი სიმპტომები** > სუნთქვის უკმარისობა, გულის ფრიალი, ტკივილი , ან დაჭიმულობა გულმკერდის არეში > შეწითლება წვივის არეშიი, ტკივილი და შეხურება **ნევროლოგიური დარღვევის მიმანიშნებელი სიმპტომები** > უჩვეულო შეგრძნებები, როგორიცაა ჩხვლეტა და წიწკნა > მოტორული და კოორდინაციის დარღვევები > მეხსიერების დაკარგვა, კონცენტრაციის გაძნელება, მეტყველების გაძნელება > თავბრუსხვევა **ინფექციის მიმანიშნებელი სიმპტომები** > ტემპერატურა > 38.5°C > ხველა, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვის დროს, დიარეა სიცხესთან ერთად **ლიზისის სინდრომის მიმანიშნებელი სიმპტომები** > შარდის შეფერილობა > გამოყოფილი შარდის რაოდენობის შემცირება > ტკივილი ერთ მხარეს ნეკნების ქვეშ **ორსულობის ეჭვი** > მკურნალობაზე მყოფ ქალში > მკურნალობაზე მყოფ მამაკაცის პარტნიორში
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
მშობიარობის ასაკის ქალებში.	**ორსულობა უკუნაჩვენებია**, ნაყოფის მალფორმაციის რისკი. მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და ბოლო დოზის მიღებიდან 4 კვირის განმავლობაში სქესობრივი კავშირის დროს **გამოიყენეთ** ჩასახვის საწინააღმდეგო ორი მეთოდი. ორსულობის ტესტი ჩაიტარეთ ყოველთვიურად და ბოლო დოზის მიღებიდან 4 კვირის განმავლობაში.
მამაკაცებში	მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და ბოლო დოზის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში სქესობრივი კავშირის დროს

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

	გამოიყენეთ პრეზერვატივი.
წონა	**გააკონტროლეთ** რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს.
კანის მოვლა	**უპირატესობა მიანიჭეთ** რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. **მოერიდეთ** ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან თავის დასაცავად **გამოიყენეთ** მზისგან დამცავი კრემი და **მოერიდეთ** მზის სხივების ზემოქმედებას.
ინფექცია	**მოერიდეთ** რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). **რეკომენდირებულია** პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო **აცრა**: ის თქვენ დაგიცავთ.
დაღლილობა	**ამჯობინეთ** ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. **ჩაანაცვლეთ** აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
სისხლდენა	**მოერიდეთ** ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) მიღებას. **აცნობეთ** თქვენს ექიმს: > თუ იღებთ ანტიკოაგულანტებს ან თრომბოციტების ანტიაგრეგანტულ პრეპარატებს: საჭიროა მკაცრი მონიტორინგი > ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევის შემთხვევაში
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
კუჭის შეკრულობა	**უპირატესობა მიანიჭეთ** ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. **დალიეთ** წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	**უპირატესობა მიანიჭეთ** ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. **შეზღუდეთ** ცხიმიანი, შემწვარი და ცხარე საკვები.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის